ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2960746

ნომერი: AR1457709

თარიღი : 18.11.2016

გაცემის თარიღი : 15.12.2016

გაცნობის თარიღი : 16.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ქუთაისის ქ. #20;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ჩიკვაიძე პ/ნ 01024016177
- თბილისი ა.ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ. 53

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1457709 განცხადებით მომართა, მოქალაქე ნინო ჩიკვაიძემ პირ #01024016177, რომელიც 2016 წლის 01 აპრილის მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით #B16056771 სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, წარმოადგენს შპს „აიბი-მთიები“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: #202166921) დირექტორს და მოითხოვა, ქ. თბილისში, დიდუბეში, ქუთაისის ქუჩის #20ა-ში შპს „აიბი-მთიები“-ს საკუთრებაში არსებულ #01.13.05.013.015 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ მოწყობილი შლაგბაუმის ლეგალიზება, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან

მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ერ მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, შეისწავლა #AR1457709 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები, გადაამოწმა სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოების გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „წესის მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტებისა ან მათი ნაწილების მიმართ“ ანუ ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებისათვის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტი ან მისი ნაწილი იყოს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი და არა დანადგარი, რომელსაც წარმოადგენს სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი შლაგბაუმი და რომლის ლეგალიზებასაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებს და აღნიშნული გარემოება გამორიცხავს მისი ლეგალიზების შესაძლებლობას, რადგან ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის ერთ-ერთ მოთხოვნას, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა).“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა).“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, ვალდებულია ზუსტად და სრულად დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველ ნაწილში ასახული მითითებითი დისპოზიცია, რომლის თანახმადაც, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და აქედან გამომდინარე, საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის, სახელდობრ საქართველოს კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს, „უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ დააკმაყოფილოს ნინო ჩიკვაიძის #AR1457709 განცხადება და არ განახორციელოს ქ. თბილისში, დიდუბეში, ქუთაისის ქუჩის #20ა-ში შპს „აიბი-მთიები“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202166921) საკუთრებაში არსებულ #01.13.05.013.015 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ განთავსებული დანადგარის შლაგბაუმის ლეგალიზება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 51-ე მუხლის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის, 54-ე მუხლის და მე-100 მუხლის პირველი ნაწილის, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-2 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

_____ არ დაკმაყოფილდეს მოქალაქე ნინო ჩიკვაიძის #AR1457709 განცხადება.
_____ უარი ეთქვას მოქალაქე ნინო ჩიკვაიძეს ქ. თბილისში, დიდუბეში, ქუთაისის ქუჩის #20ა-ში შპს „აიბი-მთიები“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202166921) საკუთრებაში არსებულ #01.13.05.013.015 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ განთავსებული დანადგარის შლაგბაუმის ლეგალიზებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.